პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 მარტი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 54 (9465) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიდი ფეხბურთის დღე თბილისში!

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

დღეს ჩვენს სტადიონზე მეტად საინტერესო, მეტად საყურადღებო და ღირსშესანიშნავი მატჩი გაიმართება: ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის საპასუხო მეოთხედფინალში. ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „ტორპედო“ და საფრანგეთის ქალაქ „ბორდოს“ ამავე სახელწოდების გუნდი.

პირველი თამაშის შედეგი ყველამ კარგად იცის: „ბორდომ“ თავის მინდორზე გაიმარჯვა, მაგრამ გაიმარჯვა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით — 1:0, ევროპის საკლუბო ტურნირების ნორმებით კი ფრანგ ფეხბურთელებს ეს სულაც არ აძლევს გარანტიას ნახევარფინალში გასვლის იმედი იქონიონ, ერთგოლიანი უპირატესობა საკუთარ მინდორზე სულაც არ არის საერთო წარმატების დამაიმედებელი საწინდარი.

მაგრამ საკუთარი თავის დამშვიდება, იოლი წარმატების მოლოდინში, რა თქმა უნდა, არც მოსკოვის ტორპედოელთა კოლექტივს აძლევს ხელს და არც ჩვენ — მის ქომაგებს, ვინაიდან „ბორდო“ ძალზე ძლიერი მეტოქეა, მით უმეტეს, ახლა, როცა ეს გუნდი საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს. ჩვენს გუნდს დიდი თავგამოდება მართებს ორი მატჩის შედეგის ჯამში რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს.

„ბორდო“ დღეს ძლიერია როგორც არასდროს. როგორც ვთქვით, იგი საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია, გუნდის შემადგენლობაში გამოდიან საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო კლასის ოსტატები ტიგანა, ფარჟონი, ტუუპი ძმები ვუიოვიჩები, დროპსი, ბატისტონი, ვერკრუისი, ჟირარი, ტურე და სხვანი. ჯერ მარტო ამ ფეხბურთელთა უშუალოდ მინდორზე ნახვა ღირს ერთ რამედ ფეხბურთის ნამდვილი მოყვარულისთვის, მაგრამ თუ ამას დავუმატებთ თასების მფლობელთა თასის ამ მატჩისთვის შექმნილ საერთო მდგომარეობას და მოსკოველ ფეხბურთელთა მიმართ ჩვენს მხარდაჭერას, აგერაფერი ეს დიდ ფეხბურთს გვპირდება დღევანდელ მატჩში.

საბჭოთა კლუბებმა ბოლო წლებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ევროპის საკლუბო ტურნირებში. ამის შედეგად უფლება მოვიპოვეთ ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გარდა გუნდების მაქსიმალური რაოდენობა გამოვიყვანოთ უეფა-ს თასზე. ამდენად, ყველამ, ვინც კი ამ ღირსშესანიშნავ მატჩს დაესწრება, უნდა ვუქმაგოთ საიმისოდ, რომ მოსკოვის „ტორპედომ“ ბორდოში პირველი წაგების შემდეგ ღირსეული რევანში აიღოს და ახალი ქულები შეიტანოს კოეფიციენტთა იმ ყულაბაში, რომლის წყალობითაც უეფა-ს თასზე გუნდების რაოდენობა გამოგვყავს. სხვათა შორის, სწორედ ამის მეოხებითაა, რომ წლეულს სექტემბერში უეფა-ს თასის გათამაშებაში ჩაებმება თბილისის „დინამოც“.

თურქეთის „ბეშიქთაშთან“ იზმირის სტადიონზე ანგარიშით 5:0 მოგებული მატჩის შემდეგ, ძნელი წარმოსადგენია მცირედ მაინც შეფერხდეს კიეველთა ნახევარფინალში გასვლის საქმე. თუ ფეხბურთის ენაზე ვილაპარაკებთ, კიევის „დი-

იხ. მე-3 გვ.



საერთაშორისო შეჯიბრება საციგაო სპორტში

ბაკურიანელთა სწრაფი ციგები

ოგბერპოფში (გდრ) გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება იუნიორებს შორის საციგაო სპორტში „მეგობრობის“ თასზე. სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში ორადგილიანი ციგით გამოდიოდნენ ბაკურიანელი მოხწავლეები, ოსტატობის კანდიდატები კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი (ორივე — ახკ).

ჩვენმა წყვილმა მახპინძელთა ეკიპაჟებთან გამართულ მძაფრ ბრძოლაში საპატიო მეორე ადგილი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ პირველ, მესამე და მეოთხე ადგილებზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები გავიდნენ.

გარდა ამისა, ლ. თიბილოვი ერთეულთა ახპარეზობაში მეოთხე იყო, რაც აგრეთვე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს.

კიდევ ერთი დღე და...

ბაკურიანის საერთაშორისო შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში დასრულდება. მისმა მონაწილეებმა შეჯიბრების შეორე ტურიც სწრაფდაშვებაში პაექრობით დაიწყეს. კოსტა-II ტრასაზე ამჯერად 31 ქალი და 47 ვაჟი გამოვიდა.

ქალებში ყველას 22 წლის დინამოელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გოლნურ პოსტნიკოვამ (დაბა ჩუსოვაია, პერმის ოლქი) აჯობა, — 1.39,42. მას ოდნავ ჩამორჩნენ აღიარებული ოსტატები — თანაგუნდელი ნატალია ბელოსლუდცევა (1.40,31) და ლიუდმილა კედრინა („სპარტაკი“, ლენინგრადი) — 1.40,41.

ვაჟებში პირველი იყო ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, პერმელი ალექსეი მასლოვი („დინამო“) — 1.34,33. 17 წლის კრასნოიარსკელი სპორტის ოსტატი ვიაჩესლავ ზვერევი მეორე ადგილზე გავიდა — 1.35,34. მესამე შედეგ-

იხ. მე-4 გვ.

გუშინ, დღეს, ხვალ

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის „ავმჯდომარის მოადგილის ა. კოლესოვის მონაწილეობით. გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებების, უწყებებისა და საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე საუბარი იყო გარდაქმნის პირველი ნაბიჯების შედეგებზე, აგრეთვე, მომავლის ამოცანებზე, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ვ. კოლესოვი.

დღეს თბილისში შეროზიას ქუჩაზე № 11 სახლში იხსნება სსრ კავშირის სპორტის ოსტატ დავით. დავითაიას სახელობის რეგიონალური სპორტული კლუბი „შევარდენი“.

ხვალ თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში დაიწყება სსრ კავშირის ზონალური პირველობა ცხენოსნობაში.

„გაზაფხულის დღესასწაული“

გასული სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეებმა. ლელიანელი ახალგაზრდები მოწინავენი არიან სპორტშიც (მათ უნარიანად ხელმძღვანელობს ფიზკულტურის მეთოდისტი გიორგი ღვალაძე). **ახლახან აქ გაიხსნა სპორტული სკოლა** — ქართული და თავისუფალი ჭიდაობების, სამბოსა და ველოსპორტის მოყვარულები სექციებში გაერთიანდნენ.

ლელიანში ყოველ წელს ზეიმობენ „გაზაფხულის დღესასწაულს“. ამ დღეს სპორტული შეჯიბრებებიც ტარდება. სწორედ ასეთი დღესასწაული გაიმართა აქ ამ რამდენიმე დღის წინ. ახალ საჭიდაო მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ქართული ჭიდაობის მოყვარულები ლელიანის, აფენის, კაბალის, არეშფერანისა და სხვა სოფლების ფალავნები. გაიმარჯვეს: შურმან მოდებაძემ, ლაშა გოგატიშვილმა, უჩა მიქაუტიძემ, შალვა გურულმა, მამუკა სარალიძემ (ყველა—ლელიანიდან), ქარზემ ალახვერდიევმა, ფარხატ კაიბოვმა (კაბაცი), რუსლან ბოლოთაევმა, ბობე კაჩმაზოვმა (არეშფერანი).

კალათბურთელთა შეხვედრაში აფენელებმა მოუგეს მასპინძლებს. დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სოფლის ბოლოს, ძველი ეკლესიის ეზოში. აქ საჭიდაო წრეში მკლავისა და მუხლის ძალას სცდიდნენ ლაგოდეხის, ყვარელის, გურჯაანის, საგარეჯოს და სხვა რაიონების წარმომადგენლები.

რაჟდენ გაგრიჭიძე.

• • •

ს ურ ა თ ზ ე: ქართული ჭიდაობის არენაზე.

ავტორის ფოტო.

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

ხუგაშვილი ეწევა ლიდერს

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის მონაწილეებმა გუშინწინ რამდენიმე გადადებული პარტია დაამთავრეს (სულ 17 პარტია იყო გადადებული): ლაგვილავა — კახიანი 0:1 (II ტურის გამოტოვებული პარტია), ნიკოლაძე — ქასოშვილი 0,5:0,5 (II ტური), ხუგაშვილი — ხუციშვილი 1:0 (II); მახარაძე — ტერელაძე 0:1 (IV), ჩაიკოვსკაია — კობაიძე 0,5:0,5 (IV); ხუციშვილი — სადუნიშვილი 0:1 (VII), ტერელაძე — ლანჩავა 0,5:0,5 (VII); სადუნიშვილი — ქასოშვილი 1:0 (VIII), თანდაშვილი — ხუციშვილი 0,5:0,5 (VIII); ტერელაძე — ჩაიკოვსკაია 1:0 (IX), ნიკოლაძე — ხუგაშვილი 0:1 (IX); მახარაძე — ლანჩავა 0:1 (X).

9 ტურის შემდეგ ჩემპიონატში ასეთი მდგომარეობაა: ნინო მელაშვილი — 6,5 ქულა (8-დან), თამარ ხუგაშვილი — 6 (1; 9-დან), ქეთევან კახიანი — 5,5 (2; 9-დან), ქეთევან მელაშვილი — 5,5 (1; 8-დან), ციალა ქასოშვილი — 5,5 (9-დან), ციური კობაიძე, ლია სადუნიშვილი — 5-5 (8-დან).

ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩი

თამაშის განუახლებლად

როგორც იცით, ა. კარპოვ-ა. სოკოლოვის პრეტენდენტთა სუპერფინალური მატჩის მე-8 პარტია საყაიმო პოზიციაში გადაიდო. მეტოქენი თამაშის განუახლებლად დაზავდნენ. ანგარიში გახდა 5:3 ა. კარპოვის სასარგებლოდ.

ოთხი ტურით ადრე

სამგრეჯია (ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატში გათამაშდა XI ტურის პარტიები. აი, მათი შედეგები: ტყებუჩავა — გოგიჩაიშვილი 1:0, პოპოვი — შალამბერიძე 0:1, სიჭინავა — ნეჩაევი 0:1, ლეკვეიშვილი — ხოფერია 1:0, ჩაჩიბაია — თეიმურაზიანი 1:0, ლობჟანიძე — ხეცურიანი 0,5:0,5, მანგაძე — გოგოლაძე 1:0, ტაბატაძე — ლეკავა 1:0.

VI ტურის გადადებულ პარტიაში მანგაძემ სძლია ჩაჩიბაიას.

ამრიგად, შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტურით ადრე ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ბესო ხეცურიანი, კახა შალამბერიძე, დავით ჩაჩიბაია — 7-7 ქულა, გოჩა ტყებუჩავა — 6,5, თამაზ ტაბატაძე — 6 (1).

გეფან ჩხაიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲗ ᲒᲝ!

თამაშის დროს პარტნიორები ცდილობენ დაფაზე თავიანთი ქვებით „შემოლობონ“ ცალკეული ზონები. როცა მთელი დაფა დაკავებულია და არც ერთ პარტნიორს ქულების მომტანი სვლების გაკეთების საშუალება აღარ რჩება, თამაში წყდება. იგებს ის, ვინც მეტი ქულა დააგროვა.



დიაგრამა 17

№17 დიაგრამაზე ნაჩვენებია ერთ-ერთი პარტიის დამოლობა 13X13-ხაზიან დაფაზე. გამარჯვებულია პარტნიორი, რომელიც დაფის უფრო დიდ ფართობს (თავისუფალ პუნქტებს) დაეუფლება. დაფის ფართობი შედგება ხაზთა გადაკვეთის წერტილებისაგან. მოთამაშემ ზონები ისე უნდა დაიცვას, რომ არ დაუშვას მოწინააღმდეგის შემოკრა საკუთარ სასაზღვრო ტერიტორიაზე (იხილეთ №18 დიაგრამა). შავების ფართობი



დიაგრამა 18

შედგება 40, ხოლო თეთრებისა — 39 წერტილის ანუ ქულისაგან. ამრიგად, ერთი ქულის უპირატესობით გაიმარჯვეს შავებმა.

საერთოდ: ა) ერთი ქულა იწერება საკუთარ ტერიტორიაზე ყოველი თავისუფალი პუნქტისათვის; ბ) ყოველი დატყვევებული ან მოკლული ქვისთვის.

დაფაზე დადებული ქვების აღება პარტიის დამთავრებამდე არ შეიძლება. ეს არ ეხება მოკლულ ქვებს, რომლებიც თამაშის პროცესში უნდა ავიღოთ, და დატყვევებულებს, რომლებსაც ვიღებთ პარტიის ბოლოს.

რას ნიშნავს „თვალი“

ჯგუფს, რომლის დატყვევებაც მოწინააღმდეგეს არ შეუძლია, „ცოცხალი ჯგუფი“ ჰქვია. მას ორი თვალი უნდა ჰქონდეს (განსაკუთრებული შემთხვევის გარდა). ჯგუფი, რომელსაც არა აქვს ან არ შეუძლია შექმნას ორი „თვალი“, მკვდარია.



დიაგრამა 19

№19 დიაგრამაზე შავი ქვების ჯგუფს ორი თვალი აქვს; „ა“ და „ბ“ პუნქტებს თეთრები ვერ შეეხებიან, ვინაიდან მათ სვლას „თვითმკვლელობა“ მოჰყვება. შავების ამ ჯგუფს „ცოცხალი თვალი“ ეწოდება, რადგან მას თეთრები ვერ მოსპობენ.

ასეთივე მაგალითი შეიძლება მოყვანილი № 20 დიაგრამაზე მოცემული „ა“ პოზიციიდან. პირველი სვლით, როგორც ეს „ბ“ პოზიციაზეა ნაჩვენები, თეთრები ქმნიან ცოცხალ ჯგუფს (ორი თვალით).



დიაგრამა 20



დიაგრამა 21

№21 დიაგრამაზე მოცემულია სამი პოზიცია — „ა“, „ბ“ და „გ“. „ა“ პოზიციაში შავები ცოცხალ ჯგუფს ქმნიან, თეთრები აქ მეტ სვლას ვერ გააკეთებენ.

„ბ“ პოზიციაში არის მოჩვენებითი ორი თვალი, შავების სამ ქვას ატარი ემუქრება. ზედა თვალი ისპობა და შავების ჯგუფი მკვდარია, რადგან მას მხოლოდ ერთი თვალი რჩება.

„გ“ პოზიციაში ზევით შავების ორ ქვას ასევე ატარი ემუქრება, ამ ჯგუფს მხოლოდ ერთი თვალი რჩება და ამის გამო იგი განწირულია.

თუ რატომ იღუპებიან ეს ჯგუფები, ახსნილია №22 დიაგრამაზე.

„ბ“ პოზიციაში შავებს ერთი დი-



დიაგრამა 22

დი თვალი აქვთ. „გ“ პოზიციაში თეთრები აკეთებენ პირველ სვლას და შავებს ატარი ემუქრებათ.

„დ“ პოზიცია: თუ შავები აკეთებენ მეორე სვლას (თეთრების პირველი სვლის შემდეგ), მათ აჰყავთ თეთრების ქვა, მაგრამ...

„ე“ პოზიცია: თეთრები აკეთებენ მესამე სვლას და შავების ხუთიდე ქვას ატყვევებენ (ამ ქვებს მოწინააღმდეგე ატყვევებს).

პარტია დამთავრებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ:

1). ერთ-ერთი პარტნიორი ნებდება;

2). ერთი მოთამაშე უარს ამბობს სვლაზე და საპასუხოდ მოწინააღმდეგეც ასევე იქცევა. ამ დროს მათ უნდა წარმოთქვან სიტყვები: „სვლას ვტოვებ“. მოგვყავს პარტიის დამთავრებისა და ქულების დათვლის მაგალითი (13-13-ხაზიან დაფაზე), აგრეთვე საბოლოო ანგარიშის დადგენის წესი.



დიაგრამა 23

№23 დიაგრამაზე ასახულია ერთ-ერთი პარტიის დამთავრების მომენტი. შავები მე-15 სვლით თეთრების ქვას ატყვევებენ. თეთრებს ქვა „ა“ წერტილზე რომ ჰქონოდათ დადებული, „ბ“ წერტილში ერთი თვალი დარჩებოდათ და მათი ქვების დაღუპვა გარდაუვალი იყო.

პარტია დამთავრდა შავების 29-ე სვლაზე. დაფის მთელი ფართობი გამოყენებულია. დარჩა მხოლოდ რამდენიმე ნეიტრალური წერტილი. რომლებიც აუცილებლად უნდა შეივსოს.



დიაგრამა 24

№24 დიაგრამაზე ასახულია, როგორ შეივსება ნეიტრალური, ანუ თავისუფალი პუნქტები (1,2,3,4) ქვებით, მაგრამ ამ პუნქტების შევსებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ისინი გამოიყენება მხოლოდ საბოლოო ანგარიშის დასადგენად. სასაზღვრო პუნქტების დათვლისას მოსალოდნელი შეცდომის თავიდან ასაცილებლად.

ამ დიაგრამაზე სამკუთხედებით აღნიშნული ქვები დატყვევებულად ითვლება.



დიაგრამა 25

№ 25 დიაგრამაზე ასახულია, როგორ ავსებენ შავები 20 მოკლული ქვით თამაშის დროს დატყვევებული თეთრების ტერიტორიას. ამრიგად, თეთრების ტერიტორიას ეძლევა სწორკუთხედის ფორმა (2X5 ან 2X3), რაც აადვილებს თავისუფალი პუნქტების დათვლას.

№26 დიაგრამაზე მოცემულია ქვების საბოლოო წყობა. მაშ, ასე, შავებმა მოაგროვეს 20 ქულა, ხოლო თეთრებმა — 16. ამრიგად, პარტია მოიგეს შავებმა 4 ქულის უპირატესობით.



დიაგრამა 26

თანრიგები და „ჰანდიკაპი“

კვალიფიკაცია. შაშისა და ჭადრაკისაგან განსხვავებით, გოს მოთამაშეები სიძლიერის მიხედვით შემდეგნაირად იყოფიან:

ახალბედას, რომელიც პირველი 100 პარტიის თამაშით გამოცდილებას შეიძენს, ენიჭება 20 „კიუ“, ანუ 20 საფეხური, აქედან მოყოლებული მას თანდათან ემატება კვალიფიკაცია თითო საფეხურით; 19 კიუ, 18 კიუ, 17 კიუ და ასე შემდეგ, სანამ პირველ საფეხურს მიაღწევდეს. შემდეგ იწყება „დან“-ის თანრიგები: „სიუდანი“, (1 დანი), „ნიდანი“ (2), „სანდანი“ (3) და ა. შ. „კიუდანამდე“ (9).

„ჰანდიკაპს“ იყენებენ მონაწილეთა ძალების გასათანაბრებლად. ერთი საფეხურით სუსტ მოთამაშეს ეძლევა უფლება, თამაში დაიწყოს შავი ქვებით, ორი საფეხურით სუსტი ღებულობს ორ ქვას (ე. ი. დაფაზე წინასწარ დებს ორ ქვას), სამი საფეხურით სუსტი — 3 ქვას და ა. შ. 9 ჰანდიკაპამდე. 6 ჰანდიკაპის შემთხვევაში სუსტი მხარე თავიდან იღებს 5, 8 და 9 ნომერ ქვებს, 7-ის დროს 8 და 9, 8-ის დროს — 5 ნომერს და ა. შ. (იხ. №27 დიაგრამა).



დიაგრამა 27

თუ მეტოქენი თანაბარი სიძლიერისა არიან, ერთ-ერთი მათგანი ყულაბიდან პეშვით იღებს ქვებს. მეტოქემ უნდა გამოიცნოს, ქვების რაოდენობა ლუწია თუ კენტი. თუ გამოიცნო, მას შავი ქვებით თამაშის უფლება ეძლევა; თუ არა, ამ უფლებას მოწინააღმდეგე მიიღებს.

საჭიროების შემთხვევაში ჰანდიკაპების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს 25-მდე.

ჰანდიკაპებს მეტოქენი აწყობენ ხოსის (ვარსკვლავის) წერტილებზე.

13X13 — ხაზიანი დაფისთვის გათვალისწინებულია 2-5 ჰანდიკაპი. თამაშის დროს პარტნიორები ვალდებული არიან გარკვევით ჩაიწერონ როგორც თავისი, ისე მეტოქის სვლები.

თუ ჩაწერილი სვლებიდან მოთამაშემ თუნდაც ოთხი ან ხუთი ვერ გაარკვია, ევროპის გოს ფედერაციის წესებით, მას წაგება ჩაეთვლება.



დიაგრამა 28

შავებით მოთამაშე სვლებს იწერს შავი ან ლურჯი, ხოლო თეთრებით მოთამაშე — წითელი მელნით. №28 დიაგრამაზე ასახულია სვლების ჩაწერის თანამიმდევრობა.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი შაშში, ხაჭართველოს შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ᲚᲐᲮᲢᲘᲡᲬᲠᲘᲤᲘ ᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲒᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ...



ამ დარბაზში გავლაც სახიფათოა.

რესპუბლიკაში ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი და კეთილმოწყობილი ღია სპორტული კომპლექსი. ეს პრობლემა, სამწუხაროდ, არის, მაგრამ როგორ ვიყენებთ იმას, რაც გვაქვს? ეს საკითხი არაერთხელ დასმულა, მაღალი ტრიბუნიდანაც არაერთხელ გაუმახვილებიათ მასზე უურადღება, მაგრამ...

„ჩვენ გაწუხებთ აჭარის ერთ-ერთი ლამაზი და პატარა სოფლიდან, რომელსაც ბუკნარი (ქვედა ულიანოვკა) ჰქვია. ჩვენი სკოლაც პატარაა და კოხტა, გვაქვს მინიფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, რომელთა მოწყობაში ბავშვებმაც მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ შემოლობვაში არავინ დაგვეხმარა, წამოწყებული საქმე შუა გზაზე მიატოვეს“ — გვწერენ მოსწავლეები ქობულეთის რაიონიდან. ბავშვებს გული იმის გამოც ტკივათ, რომ სკოლის სპორტული დარბაზი წვიმიან ამინდში თურმე საცურაო აუზს ემსგავსება. დარბაზის კედლებიდან ბათქაშიც ცვივა, იატაკი დამპალა, რადგან წყალი მის ქვეშ დიდხანს რჩება, სპორტული დარბაზი მთლიანად გამოუსადეგარიაო — დასძენენ. მოსწავლეებმა გამოგვიგზავნეს ფოტოსურათებიც, რომლებსაც აქვე გთავაზობთ. ბავშვებს რედაქციის დახმარების დიდი იმედი აქვთ. ცხადია, ჩვენ ხულაც არ გვინდა მოზარდებს იმედები გავუცრუოთ. ამიტომ პირველ ყოვლისა ქობულეთის სახალხო დეპუტატების რაიხალბჭოს აღმასკომს მივმართავთ თხოვნით, სასწრაფოდ გვაცნობონ, რა ზომები გატარდება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამ ფოტოსურათებს კი უკვე კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებთან შესადარებლად დროებით არქივში შევინახავთ.

ასე გამოიყურება სკოლის სპორტული მოედნები.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 53.

დიდი ფეხბურთის დღე თბილისში!

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

დასასრული

ნამო“ ფაქტიურად, უკვე გასულია ნახევარფინალში, მოსკოვის ტორპედოელებს კი მთელი თავიანთი შესაძლებლობით მართებთ ბრძოლა ისეთ ძლიერ მეტოქეს რომ გაუმკლავდნენ „ბორდო“ რომაა, რომლის შემადგენლობის წამყვანი ფეხბურთელები უკვე ჩამოგითვალეთ.

გარდა ამისა, მეოთხედფინალის რამდენიმე სხვა საინტერესო წყვილის შედეგებიც გვაინტერესებს. მადრიდის „რეალმა“ მეოთხედფინალის პირველი შეხვედრა წააგო იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდასთან“ — 2:4 და ახლა შინ უნდა მიიღოს ეს გუნდი. შეძლებენ თუ არა ესპანელები ამ შედეგის „ამოქაჩვას“? ასევე საინტერესოა თასების მფლობელთა თასის მატჩი შვეციის „მალმესა“ და ჰოლანდიის „აიაქსს“ შორის, რომელიც შვედებმა ანგარიშით 1:0 მოიგეს, ახლა კი „აიაქსს“ მის მინდორზე ხვდებიან.

უეფა-ს თასზე შოტლანდიის „დანდი იუნაიტედმა“ ესპანეთის „ბარსელონასთან“ შინ გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. შეძლებენ შოტლანდიელი ფეხბურთელები საპასუხო მატჩში ამ მცირე უპირატესობის შენარჩუნებას? ამავე გათამაშებაში იტალიის „ტორინომ“ „სვაროვსკი-ტიროლთან“ შინ ფრედ ითამაშა — 0:0, ახლა კი ავსტრიელთა გუნდთან სტუმრად უნდა სცადოს თავისი ძალები.

ყველაფერი ეს დიდად საინტერესოა, მაგრამ ჩვენი საფეხბურთო მზერა მაინც თბილისის „დინამოს“ სტადიონისკენაა მიმართული, იქ, სადაც მოსკოვის „ტორპედო“ თამაშობს.

მოსკოვის „ტორპედო“ ჩვენი ძველი სპორტული მეტოქე და ამავე დროს ჩვენი ძველი სიმპათიაცაა. ყველას კარგად გვახსოვს წარსული წლების ისტორია, როცა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრები უკიდურესად დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა, გულგრილი არავინ რჩებოდა, როცა თბილისში სათამაშოდ ჩამოდიოდნენ ვალენტინ ივანოვი, ედუარდ სტრელცოვი, ვალერი ვორონინი, გენადი გუსაროვი, აუგუსტინ გომესი, ვლადიმერ მოშკარკინი, ალექსანდრე პონომარიოვი და მრავალი, მრავალი სხვა. ეს ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლები იყო და ამითომ გასაკვირიც არაა, რომ მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა მეოთხედფინალის საპასუხო მატჩის სათამაშოდ ერთხმად, ერთსულოვნად აირჩიეს თბილისის სტადიონი.

მოვიყვანთ მოსკოველთა უფროსი მწვრთნელის. სპორტის დამსახურებული ოსტატის ვალენტინ ივანოვის სიტყვებს:



— მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ თბილისელ ფეხბურთის მოყვარულებს მოსკოვის ტორპედოელთა მიმართ დიდი სიმპათიები აქვთ. ახე იყო მაშინ, როცა მე და ჩემი მეგობრები ვთამაშობდით, „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნებიდან მოწონება და ტაში არ დაგვკლებია, თბილისელ ფეხბურთელებთან უამრავი დაუვიწყარი მატჩი ჩაგვიტარებია, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამითომ დღევანდელი მხარდაჭერის სრული იმედი მაქვს. ეს გვჭირდება გასამხნევებლად, ეს გვჭირდება წარმატების მისაღწევად, რათა ევროპის საკლუბო ტურნირებში საბჭოთა ფეხბურთის პოზიციები განვამტკიცოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ კოეფიციენტის ცხრილში.

ეს მითუმეტეს საჭიროა, რომ „ბორდო“ ძალზე ძლიერი გუნდია, მის შემადგენლობაში მსოფლიოში აღიარებული ფეხბურთელები გამოდიან. ბორდოში ურიგოდ არ გვითამაშია, ახლაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რისი ძალაც კი შეგვწევს, და, შეიძლება, ცოტა მეტიც. ყველანი საამისოდ ვართ განწყობილნი. შემტევი სტილით უნდა ვითამაშოთ, შესაძლოა სამი წმინდა ფორვარდი გამოვიყვანოთ მინდორზე და ნახევარმცველებსაც შემტევი ფუნქციები დავავალოთ. ვეცდებით, არ გავაწბილოთ თქვენი იმედები, თბილისელი ქომაგებისა გვჯერა.

მართლაც, მოსკოვის „ტორპედოსთან“ ხანგრძლივი ურთიერთობანი გვაკავშირებს. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობდნენ თბილისელი და ბათუმელი ფეხბურთელები ა. კავაზაშვილი, ვ. ლექსოვსკი, რ. კარიჩევი, მ. ყარე რ. მათევოსიანი, რომელიც კარგა ხანს

გუშინ „ბორდოს“ ფეხბურთელებმა თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ივარჯიშეს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გამოდიოდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში, მოსკოვის „ტორპედოში“ აიდგა ფეხი სლავა მეტრეველმა, ხოლო იმის გახსენება, რომ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრები მუდამ უმაღლესი საფეხბურთო ხელოვნების დონეზე მიმდინარეობს, ყველასთვის კარგად ცნობილია. ხურც იმას დავივიწყებთ, რომ სულ რამდენიმე დღეში თბილისის „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატის მატჩში შეხვდება მოსკოვის „ტორპედოს“.

ბორდოს „ჟირონდას“ უფროსმა მწვრთნელმა ემე შაპემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარი მოსკოვის „ტორპედოსთან“ შინ ჩატარებული მატჩის შეფასებით დაიწყო:

— ანგარიში 1:0, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი საპასუხო შეხვედრის წინ. — ბორდოში უფრო დიდი სხვაობით მოგება გვმართებდა, რადგან მეტად ძნელი საპასუხო მატჩი გველის. „ტორპედო“ ძლიერი გუნდია. მის შემადგენლობაში რამდენიმე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ მოსკოველთა ეფექტურ კოლექტიურ მოქმედებას მინდორზე. თბილისში არ ჩამოგვიყვანია შალანა და ვერკოიუნი, მაგრამ სხვები სრულ მზადყოფნაში არიან. ვფიქრობ, თბილისელი მაყურებელი საინტერესო ორთაბრძოლის მოწმე გახდება. ჩვენი გუნდის ტაქტიკური გეგმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რას შემოგვთავაზებს მეტოქე. ვიმეორებ, ძალიან ძნელი ბრძოლა გველის, ამითომ ვარაუდის გამოთქმა შეუძლებელია. უნდა ითქვას, რომ ევროპის ტურნირებში, მითუმეტეს მეოთხედფინალურ და მომდევნო ეტაპებზე ხუხტი გუნდები აღარ გამოდიან.

ამრიგად, დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მეტად საინტერესო, დიდ ფეხბურთს ვნახავთ, წარმატებას ვუსურვებთ მოსკოვის ტორპედოელებს!

„ჟირონდა“ ბორდოდან

რუბენ ალონსო, მადრიდის „რეალის“ არგენტინელი თავდამსხმელს ხორხე ვალდანოს სურს ესპანეთის მოქალაქე გახდეს. ამრიგად, გუნდს საშუალება ექნება მიიწვიოს კიდევ ერთი უცხოელი ფეხბურთელი. „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ მენდოსამ განაცხადა, რომ აპირებს დადოს კონტრაქტი ცნობილ დასავლეთგერმანელ ნახევარმცველთან ბერნდ შუსტერთან, რომელიც ახლა „ბარსელონაში“ ირიცხება, მაგრამ თითქმის ერთი წელია მოედანზე არ გამოსულა. შუსტერი მოითხოვს კატალონიელთა კლუბთან მისი კონტრაქტის გაუქმებას. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მის თხოვნას, ფეხბურთელს შესაძლებლობა მიეცემა სადაც სურს, იქ ითამაშოს.

მენდოსამ თქვა, რომ „რეალმა“ მადრიდის „ატლეტიკოსგან“ გადმოიბირა ესპანეთის ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 21 წლის ფრანსისკო ლიორენტე — ცნობილი ესპანელი ფეხბურთელის ფრანსისკო ჩენტოს დისწული, რომელიც 5 წლის განმავლობაში ითამაშებს მადრიდის „რეალში“.

„ვალენსიამ“ პარიზის „რასინგისგან“ იყიდა ურუგვაის ნაკრების ნახევარმცველი რუბენ პასი. ვინაიდან „რასინგში“ ორი უცხოელი ფეხბურთელი (ურუგვაელი ფრანჩესკოლი და დასავლეთგერმანელი ლიტბარსკი) თამაშობს, პასი იშვიათად გამოდიოდა მინდორზე. „ვალენსია“, რომელსაც ალფრედო დი სტეფანო ხელმძღვანელობს, მეორე დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერია.

პაოლო როსის მემკვიდრე

იტალიის „ესპრესოს“, რომელიც ხშირად და ბევრს წერს ფეხბურთზე, გადაწყვეტილი აქვს ამ სეზონშივე ერთი მსოფლიო მნიშვნელობის „ვარსკვლავი“ აღმოაჩინოს. ოღონდ ეს „ვარსკვლავი“ უსათუოდ იტალიელი და უმაღლესი ლიგის ფეხბურთელი უნდა იყოს.

ამ მიზნით ჟურნალმა ყოველმხრივ და დეტალურად შეისწავლა გასული ჩემპიონატის თამაშები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იტალიის ფეხბურთში ახალი პაოლო როსის აღმოჩენა არც ისე ძნელი საქმეა. დასახელეს პირველი კანდიდატიც. ეს არის „რომას“ ახალგაზრდა ფეხბურთელი ჯუზეპე ჯანინი. სპეციალისტების აზრით იგი მობილიზებული და დისციპლინირებული ფეხბურთელია, რომელსაც უყვარს კოლექტიური თამაში, კარგად ერკვევა რთულ სიტუაციებში და ძლიერად ურტყამს კარში.

სწორედ ამ თვისებების გამო იგი ეროვნულ ნაკრებში ჩაირიცხა. ადრე ჯანინი იტალიის ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა. ნიჭიერ ფეხბურთელს ზედმეტსახელად უფლისწული დაარქვეს, უფლისწული, რომელიც მეფის გვირგვინზე აცხადებს პრეტენზიას.

ვის დაეჯერეთ?

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ნაკრებმა ახალი მწვრთნელის აზელიო ვიჩინის ხელმძღვანელობით ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ოთხივე თამაში მოიგო, ამ ქვეყნის სპორტული მმომხილველები მაინცდამაინც არ ანებივრებენ გუნდს. გაზეთ „სტამპას“ აზრით, „საუადრა აძურა“ თამაშობს უღიმღამოდ, მიმართავს ტიპიურ კატენაჩიოს. როგორც „კორიერა დელა სერა“ წერს, გუნდს უმთავრესად „ბედი წყალობს“. „ტუტო-სპორტი“ ნაკრების თამაშში კარგს ვერაფერს ხედავს და დემონსტრაციულად აქებს მხოლოდ ალტობელს. „დიდი მადლობა, ალესანდრო!“ — ასეთია ამ გაზეთში გამოქვეყნებული წერილის სათაური. მართლაც, ალტობელიმ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში უკვე 6 ბურთი გაიტანა.

კმაყოფილია მხოლოდ მწვრთნელი ა. ვიჩინი. „ოთხი თამაში ოთხი მოგება. ჩვენი გუნდისთვის, რომლისაგან თითქმის აღარაფერი იყო დარჩენილი, შესანიშნავი წარმატებაა“. — ამბობს ვიჩინი და ძალიან აქებს ნაკრების ყველა წევრს.

II ტურის სტატისტიკა

ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის II ტურის მატჩების სტატისტიკურ მონაცემებს.

ცსკა — „ჟალგირისი“ 2:2 (1:2). გოლები: ნარბეკოვასი, ბარანაუსკასი („ჟალგირისი“), ტატარჩუკი, ფოკინი (ცსკა).

გაფრთხილეს არმიელი ტატარჩუკი, აგრეთვე, ვილნიუსელები რუზგისი და ბარანაუსკასი.

დუბლიორები — 0:1.

„დნეპრი“ — „ზენიტი“ 6:1 (2:1). ლენინგრადელმა ფეხბურთელებმა ძალზე სუსტად ჩაატარეს მატჩი დნეპროპეტროვსკის „მეტეორის“ სტადიონზე და სასტიკი მარცხი იწვნიეს. გამარჯვებულთაგან 3 ბურთი გაიტანა ტარანმა, 2 — პროტასოვმა და 1 — ლიტოვჩენკომ (პენალტით). „ზენიტმა“ მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლო (ჟელუდკოვი).

დუბლიორები — 0:2.

„შახტიორი“ — „ქაირათი“ 1:0 (1:0). გადამწყვეტი ბურთი სტუმრების კარში დრაგუნოვმა გაიტანა.

გაფრთხილეს გრაჩოვი („შახტიორი“). მატჩი ჩატარდა უაღრესად არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში, მოყინულ მინდორზე.

დუბლიორები — 1:1.

„ნეფთჩი“ — „მეტალისტი“ 1:2 (1:1). „მეტალისტის“ თავდამსხმელის აჯოევის მიერ გატანილ ორ ბურთს ბაქოელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს: 11-მეტრიანი გაიტანა პონომარიოვმა.

დუბლიორები — 2:1.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1 (1:1). გოლები: ვასილიევი (მოსკოვი), მეტლიცკი (მინსკი).

გაფრთხილეს მინსკელი გურინოვიჩი.

დუბლიორები — 2:3.

„არარატი“ — „ტორპედო“ 1:0 (1:0). მოსკოველთა კარში ბურთი მე-9 წუთზე გაიტანა პ. გალუსტიანმა.

დუბლიორები 1:3.

⊙ **პირველი** „ჰეთ-თრიკი“ მიმდინარე ჩემპიონატში (3 და მეტი გოლი ერთ მატჩში) შეასრულა „დნეპრის“ თავდამსხმელმა ოლეგ ტარანმა.

⊙ **ჩემპიონატის** პირველ ტურთან შედარებით, როცა 7 მატჩში სულ 9 ბურთი იყო გატანილი, II ტურში შედეგიანობამ მკვეთრად იმატა — 7 მატჩში 20 ბურთი გავიდა.

⊙ **პირველი** გამარჯვება დიდი ანგარიშით მოიპოვა დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“.

⊙ **კვლავ** დიდია ფეხბურთელთა მიერ მიღებული გაფრთხილებების რაოდენობა: I ტურში გაფრთხილეს 6 ფეხბურთელი, მეორეში — 7.

⊙ **გომგარდირთა** შორის 3 ბურთით დაწინაურდა დნეპროპეტროვსკელი ო. ტარანი, 2-2 გოლია ხარკოველი გ. აჯოევის, დნეპროპეტროვსკელი ო. პროტასოვისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელების ვ. პასულკოსა და ფ. ჩერენკოვის ანგარიშზე.

III ტურის კალენდარი

21 მარტი

„ქაირათი“ — ცსკა
„ზენიტი“ — „დინამო“ მ.
„ჟალგირისი“ — „დნეპრი“
„დინამო“ მნ. — „შახტიორი“
„სპარტაკი“ — „ნეფთჩი“
„მეტალისტი“ — „გურია“

22 მარტი

„დინამო“ კ. — „არარატი“
„ტორპედო“ — „დინამო“ თ.

გეპატიჟეგათ ბერნი

ამ ყურაქვიტა კურდღელს, ასე გატაცებით რომ დასდევს ბურთს, ბერნი ჰქვია. იგი ლოს-ანჟელესში. უოლტ დისნეის ცნობილ სტუდიაში დაიბადა და როგორც მისი „მშობლები“ (მხატვართა ჯგუფი) თვლიან, დისნეის მულტიფიკაციური ფილმების გმირთა შორის, დიდი ხანია მეგობრულად რომ ცხოვრობენ — მიკი მაუსი, დონალდ დაკი და სხვანი, უკვე დაიმკვიდრა ადგილი.

რაც შეეხება ფეხბურთს, საქმეის გახლავთ, რომ ბერნი თავის გაჩენას უმადლის სწორედ ამ პოპულარულ თამაშს, რომლის ფინალური ტურნირის ოფიციალურ სიმბოლოდ თავად იქცა. ჩემპიონატის ფინალი მომავალი წლის 10-25 ივნისს გფრ-ში ჩატარდება. ამას წინათ ბერნი მაყურებლებს წარუდგინეს. მან ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ გაჩნდა აზრი ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატების მუდმივ სიმბოლოდ სწორედ ბერნი იქცეს...

კიდევ ერთი დღე და...

დასასრული

გი აჩვენა დინამოელმა ოსტატმა იური ბელოსლუდცევმა (ჩუსოვაია) — 1.37,12.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე კარგად წალვერელმა სპორტის ოსტატმა გია ორჯონიკიძემ („დინამო") იასპარეზა. მისი შედეგია 1.38,68. კარგად გამოვიდნენ აგრეთვე ახალგაზრდა ბაკურიანელი სამთო მოთხილამურეები: დინამოელები ლევან აბრამაშვილი (1.41,54) და გელა კოზანაშვილი (1.42,40), მესტიელი თეზო ჯაფარიძე (1.41,94), თბილისელები გიორგი ხაზარაძე (1.42,97) და გიორგი გაჩეჩილაძე (ორივე — „დინამო") — 1.43,72. ბაკურიანელმა ალეკო ქარჩოზაშვილმა ტრასა 1.46,54-ში განვლო.

სპეციალისტების აზრით, ჩვენს ვაჟებს გარკვეული წინსვლა ეჭნევათ. სამწუხაროდ, ქალებზე ამას ვერ ვიტყვით.

კიდევ უფრო მეტი მონაწილე გამოვიდა სუპერგიგანტის სტარტზე — 60 ვაჟი და 39 ქალი. ვაჟების ასპარეზობა დამაჯერებლად მოიგო ვიაჩესლავ ზვერევმა — 1.48,13. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ნოვოკუზნეცკელი სერგეი კოსტროვი (1.49,25) და ალმაათელი ანდრეი გოლოვჩენკო (1.50,26). ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა სამთომოთხილამურემ ალექსანდრე კოსტრომამ ტრასა ვერ დაამთავრა.

ბაკურიანელმა მეათეკლასელმა, ოსტატობის კანდიდატმა გელა კოზანაშვილმა მეშვიდე ადგილი დაიკავა — 1.51,13. მას ოდნავ ჩამორჩა გია ორჯონიკიძე (1.51,24, მერვე ადგილი).

ქალთა შორის საუკეთესო აქაც გოლნურ პოსტნიკოვა იყო — 1.45,29. მეორე ადგილზე გავიდა 16 წლის სპორტის ოსტატი ნატალია ბუგა („სპარტაკი", პეტროპავლოვსკი) — 1.49,30, მესამეზე — მისი თანატოლი ნატალია ეგოროვა („ბურევესტნიკი", ნოვოკუზნეცკი) — 1.49,31.

შედარებისათვის ვიტყვით, რომ ჩვენი ქალებიდან უკეთესი შედეგი ჰქონდა თბილისელ ლეილა ზერაკიძეს (2.01,18), მესტიელმა ეკა უშხვანმა 2.01,21 აჩვენა, თბილისელმა ეკა ედიშერაშვილმა — 2.02,16, ბაკურიანელმა ნონა დიაკონაშვილმა — 2.02,18.

გუშინ ბაკურიანში, „ტატრა-პომაზე" კიდევ ორ შეჯიბრებას მიეცა სტარტი — ასპარეზობებს გიგანტურ სლალომში ქალთა და ვაჟთა შორის.

ამ სახეობაში ორგზის გამარჯვებული გოლნურ პოსტნიკოვა ამჯერად მესამე იყო (2.13,60), პირველობა კი ქვეყნის ჩემპიონმა, ლვოველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ოლგა ლოგინოვამ („სპარტაკი") მოიპოვა — 2.10,61. მეორე შედეგი ჰქონდა ნატალია ბელოსლუდცევას, რომელსაც ამ დღეს 21 წელი შეუსრულდა.

ჩვენი რესპუბლიკის ქალთა შედეგები, ალბათ მარტო სტატისტიკის მოყვარულებს თუ დააინტერესებს: ლეილა ზერაკიძე —2.32,87, ნონა დიაკონაშვილი — 2.33,09, ეკა ედიშერაშვილი — 2.42,94. რაც შეეხება ეკა უშხვანს, მან ამჯერად ტრასა ვერ დაამთავრა.

როდესაც ვაჟებმა 1400-მეტრიან ტრასაზე (სხვაობა 550 მ, 50 კარი) პირველი ცდა დაამთავრეს, ყველაზე უკეთესი შედეგი 62 მონაწილეს შორის ჩვენი გუნდის ლიდერს გია ორჯონიკიძეს აღმოაჩნდა. — 1,21,84. იგი დამაჯერებლად უსწრებდა მეორე ადგილზე მყოფ პეტროპავლოვსკელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს სერგეი პეტრიკს — 1.22,70.

მეორე სერიაში შედარებით რთული ტრასა გ. ორჯონიკიძემ 1.39,73-ში დაფარა, მისმა ძირითადმა მეტოქემ კი — 1.36,21-ში. ამრიგად, ს. პეტრიკმა ორი ცდის ჯამში 2.58,91 აჩვენა და პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენი სპორტსმენი ქვეყნის უძლიერესებთან ჭიდილში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა (3.01,57), რაც საკმაოდ კარგ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. მეორე ადგილი დაისაკუთრა სპორტის ოსტატმა ანდრეი კირიჩენკომ —3.00,61.

გაგაცნობთ ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ სპორტსმენთა შედეგებს: გ. გაჩეჩილაძე — 3.05,93, გ. კოზანაშვილი — 3.10,28, ა. პაპიკიანი — 3.10,54, ლ. აბრამაშვილი — 3.10,75, გ. ხაზარაძემ, ნ. კოზანაშვილმა, დ. ოგანეზოვმა და თ. ჯაფარიძემ ამჯერად ტრასა ვერ დაამთავრეს.

ახლა ბაკურიანის საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელშიც საბჭოთა, ბულგარელი და ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები მონაწილეობენ, ჩასატარებელი დარჩა ერთი სახეობა — სპეციალური სლალომი.

სოფიკო ხეთაგაშვილი.
„ლელოს" კორ.

ამ კალათბურთელ გოგონებს რომ უყურებთ, ორი საკავშირო ტურნირი აქვთ მოგებული. სულ ახლახანს ჯერ თბილისის თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს, მერე ბაქოში გაემგზავრნენ, სადაც 1969-1971 წლებში დაბადებულთა საკავშირო შეჯიბრება ტარდებოდა. აზერბაიჯანის დედაქალაქს თბილისის გუნდის გარდა ლატვიის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, მოლდავეთისა და პერმის ნაკრები კოლექტივები ეწვივნენ. თბილისელმა გოგონებმა ქვეჯგუფში მოლდავეთის, ტაჯიკეთისა და ლატვიის კალათბურთელები დაამარცხეს. მერე ფინალში შეჯიბრების მასპინძლებს შეხვდნენ და მათაც აჯობეს — 52:42.

სურათზე: თბილისის კალათბურთელთა გუნდი: პირველ რიგში (მარცხნიდან) — მაია აბულაძე, ნინო ლომსაძე, ხათუნა გაბედავა, ირინე რეხვიაშვილი, მაია ახალეკა, ლია ბერელიძე. დგანან — ეკა მეგრელიძე, თამილა კენკებაშვილი, ლეილა გაგლოშვილი, ნინო ტაბატაძე და გვანცა ომიაძე.

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო.

უძლიერესთა გარეშე

გაიმართა ჩოგბურთელ ვაჟთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის — დევისის თასის პირველი წრის შეხვედრები. პარაგვაი — აშშ 3:2, ესპანეთი — გფრ 3:2, ჩეხოსლოვაკია — ისრაელი 2:3, სამმა უძლიერესმა გუნდმა (აშშ, გფრ, ჩეხოსლოვაკია), როგორც ხედავთ, შემდგომი ბრძოლის უფლება დაკარგა.

დევისის თასის მფლობელებმა — ავსტრალიის ჩოგბურთელებმა იუგოსლავიის გუნდი დაამარცხეს 4:1, შვეიცარიამ კი — იტალია 3:2. დანარჩენი შეხვედრები დამთავრდა ასე: მექსიკა — ინგლისი 5:0, ინდოეთი — არგენტინა 3:2, საფრანგეთი — სამხრეთ კორეა 5:0.

მეოთხედფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან: შვეიცია — საფრანგეთი, პარაგვაი — ესპანეთი, ინდოეთი — ისრაელი, მექსიკა — ავსტრალია.

საბჭოთა ჩოგბურთელები ევროპის „ა" ზონაში ასპარეზობენ.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

„სპორტლოტო-87"

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო „სპორტლოტისა" და „სპორტპროგნოზის" მოყვარულთა თხოვნით განმარტავს შეღავათის მიცემის წესს მათთვის, ვის ბილეთებსაც 1987 წელს დიდი მოგება ხვდება.

— ათტირაჟიანი ბილეთების მფლობელებს, რომლებიც ზედიზედ ათ ტირაჟში ან ერთ ტირაჟში ათჯერ მონაწილეობენ, ერთ ტირაჟში ერთი ვარიანტით მაქსიმალური თანხის 10000 მანეთის მოგების შემთხვევაში უფლება ეძლევათ რიგგარეშე შეიძინონ ავტომანქანა „ვოლგა" გაზ-24-10;

— მათ, ვინც „სპორტლოტო 6-45-დან" და „სპორტლოტო 5-36-დან" ლატარიების ერთტირაჟიანი ბილეთების ერთ ვარიანტში და ლატარია „სპორტპროგნოზში" 10000 მანეთს მოიგებს, უფლება ეძლევათ რიგგარეშე შეიძინონ ავტომანქანა „ჟიგული" ვაზ 2107;

—მათ, ვინც გამოიცნობს 6 სახეობას „სპორტლოტო 45-დან" 6 ან 5 სახეობას „სპორტლოტო 36-დან 5" ლატარიებში, ან 13 შედეგს ლატარია „სპორტპროგნოზში" ერთი ტირაჟის ერთ ვარიანტში და მოგებული თანხა აღმოჩნდება 10000 მანეთზე ნაკლები, მაგრამ არანაკლები „ჟიგულის" მარკის ავტომანქანის ღირებულებისა, უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკური სამმართველოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

კონკურსში თამაშდება „ჟიგული" ვაზ 21063 და ამ მარკის სხვა მოდიფიკაციის 40 ავტომანქანა.

კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ საქართველოს სსრ-ში შეძენილი ბილეთები, რომელთა „ბე" ნაწილი ჩაშვებული იქნება „სპორტლოტოს" ყუთებში ან. ჩაბარდება საზოგადოებრივ გამავრცელებელს ნომრიანი შტამპის აღსანიშნავად რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მოგების მფლობელს ტალონი მიეცემა ტირაჟის ჩატარებიდან 15 დღის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში.

ავტომანქანის რიგგარეშე შეძენა ფორმდება სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოში (მისამართი: ელიავას ქ. № 26) მოგების მფლობელის პირადი განცხადების საფუძველზე, სადაც მითითებული უნდა იყოს საპასპორტო მონაცემები.

საქსპორტლოტო.

მიშელ პლატინი ებრძვის ნარკომანიას

1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ გამოჩენილი ფრანგი ფეხბურთელის მიშელ პლატინის ავტორიტეტი რამდენადმე შეილახა, რადგან არგენტინელი დიეგო მარადონას ტროუმფის შემდეგ იგი ჩრდილში მიდგა...

მაგრამ მიშელ პლატინის სახელი ახლახან კვლავ გამოჩნდა პარიზის გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, საფრანგეთის ტელევიზიამაც კვლავ „მიაკითხა" გამოჩენილ ფეხბურთელს.

თუმცა, ყველაფერი ეს უკვე ეხება არა უშუალოდ ფეხბურთს, არამედ სულ სხვა სფეროს. კერძოდ, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების კაპიტანმა სურვილი გამოთქვა შექმნას „პლატინის ფონდი", მან ძნელი საქმე ითავა და განიზრახა აქტიური დახმარება გაუწიოს ნარკოტიკული წარღვნის ახალგაზრდა მსხვერპლთ.

ნარკოლოგებთან, ექიმებთან და სტატისტიკოსებთან გაწეული დიდი მუშაობის შემდეგ მიშელ პლატინმ გამოარკვია, რომ ნარკოტიკებით მიღებული ტრაგედია გაცილებით უფრო დიდი მასშტაბისაა, ვიდრე ეს ზოგიერთს წარმოუდგენია. ჯერ მარტო წლევანდელ იანვარში უშუალოდ პარიზსა და დედაქალაქის უახლოეს დეპარტამენტებში ნარკოტიკების მიღებით სიცოცხლეს გამოესალმა 14 ადამიანი, რომლებიც 25 წელსაც კი არ იყვნენ მიღწეული! „თეთრ შხამს" ყოველწლიურად ეწირება ასობით ახალგაზრდა ადამიანი, ოფიციალური მონაცემებით კი საფრანგეთში ახლა დაახლოებით 800 ათასი დიდი და პატარა ნარკომანია ოფიციალურად აღრიცხული.

— მჭიდრო ურთიერთობა მაქვს ახალგაზრდებთან, ბავშვებიც მყავს, — განუცხადა გამოჩენილმა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს, — და ბოლო ოთხი წელიწადია დიდად შეშფოთებული ვარ ნარკომანიის ასეთი მოძალებით. ეს ეპიდემია ნამდვილი ღვთის რისხვაა ჩვენი ახალგაზრდებისთვის, მას აუნაზღაურებელი ზიანი მოაქვს ერისთვის.

„პლატინის ფონდის" ფუძემდებელმა და ხელმძღვანელმა გადაჭრით განაცხადა, რომ განზრახული აქვს იბრძოლოს ახალგაზრდებში ნარკომანიის პროფილაქტიკისთვის. მ. პლატინის აზრით ეს ახლა დიდად საჭირო ღონისძიებაა, ყოველი ნორმალურად მოაზროვნე, პროგრესული ადამიანი ვალდებულია ხელი შეუწყოს გზასაცდენილი ახალგაზრდების ნორმალურ ცხოვრებაში მობრუნებას, გამოფლიჯოს ისინი თვითმკვლელობის საშინელ ტყვეობას. პლატინის განზრახული აქვს ახალგაზრდებს შეუქმნას შესაძლებლობა საჭირო პროფილაქტიკა გაიარონ სასწავლებლებსა და დაწესებულებებში საგანგებოდ მიწვეული ექიმების მკაცრი კონტროლის ქვეშ, საამისოდ იგი არ დაერიდება არავითარ ხარჯებს.

მ. პლატინმ იმაზეც ილაპარაკა, რომ ნარკომანიისადმი ახლანდელი ახალგაზრდების მიდრეკილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მძიმე სოციალური პრობლემები, საფრანგეთში სასწავლებლებიდან და დაწესებულებებიდან უცერემონიოდ, მასობრივად აძევებენ ახალგაზრდა ადამიანებს, მათ კი, პირიქით, ხელშეწყობა, დახმარება ესაჭიროებათ. სასწავლებლიდან ან სამუშაოდან გაძევებული ახალგაზრდა კიდევ უფრო ღრმად იფლობა ნარკოტიკულ ჯოჯოხეთში, ამ უბედურებასთან საბრძოლველად სულ სხვა მეთოდებია საჭირო.

„პლატინი ყითელ ბარათს აჩვენებს ნარკომანიას!"

„მიშელ პლატინის ახალი გოლი!"

ამგვარი სათაურებითაა ახლა აჭრელებული პარიზის გაზეთები, ჩინებული ფეხბურთელის ეს ინიციატივა მოწმენდილ ცაზე ქუხილივით გაისმა, ყველა კომენტარში საგანგებოდ ხაზგასმულია მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენის ასეთი პატრიოტული ნაბიჯი, ბევრ კომენტატორს ეს ამბავი სენსაციად მიაჩნია, ვინაიდან სპორტსმენები, ჩვეულებრივ, თავს შორს იჭერენ საზოგადოებრიობის საჭირბოროტო პრობლემებიდან.

მაგრამ მიშელ პლატინი მარტოოდენ პირადი ინიციატივით არ იფარგლება. ანტინარკოტიკული მოღვაწეობისკენ მან მხურვალედ მოუწოდა საფრანგეთის სხვა გამოჩენილ ადამიანებსაც: „პრაქტიკული კაცი ვარ და წესად მაქვს პირდაპირ დასახული მიზნისკენ ვიარო, ამიტომ ყველას გეთხოვთ მხარი დამიჭიროთ", — განაცხადა მან.

ძნელი სათქმელია, შეძლებს თუ არა ფრანგი ფეხბურთელი „პირდაპირ მიაღწიოს" მიზანს. ნარკომანია უმძიმესი ავადმყოფობაა, მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მიშელ პლატინი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს საფრანგეთში, იგი ახალგაზრდების სათაყვანო კერპია, ამიტომაც გამორიცხული არაა, რომ მის პატრიოტულ მოწოდებას, აქტიურ მოღვაწეობას რაღაც გარკვეული დადებითი შედეგები მოჰყვეს, ფეხბურთის დიდოსტატის ასეთი კეთილშობილური პროპაგანდა ბევრთათვის ნამდვილი შეგონება იქნება.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 18 მარტი. დილის დაფურცვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საკადრაკო გამოშვება: პრეტენდენტთა მატჩი მსოფლიო პირველობაზე — **9.00 (1);** ფეხბურთი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე. მეოთხედფინალი: „ტორპედო" (მოსკოვი) — „ჟირონდა" (ბორდო, საფრანგეთი) — **20.00 (1);** ფეხბურთი: ევროპის თასზე (მეოთხედფინალი) — **22.40 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 18 მარტი. ფეხბურთი. ევროპის თასზე: „ტორპედო" (მოსკოვი) — „ჟირონდა" (ბორდო, საფრანგეთი) — **20.00;** ფეხბურთი. ევროპის თასზე — **22.40.**

საქართველოს რადიო. 18 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) — **22.00.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის. განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06832